მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა


| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |


ვენისს რკინის გზაზედ 13 ბოროტ-მოქმედმა საფოსტო მატარებელი დააყენეს, მოხსნეს ორთქმავალი და, საფოსტო ვაგონი, გაიტაცეს 27,000 მან. ფულად და მატარებელზედ აღმართეს წითელი დროშა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 33

სამშაბათი, 18 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 33

ჩვენ მზად ვართ დღეითგან ჩვენი გაზეთის პატარა კოლონები მუშის, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

## რა არ უნდა ვჰქნათ.

სოციალ-დემოკრატიის მაჰმადიანურ ფატალიზმს, რომელსაც ისინი ალიარებენ ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ტაქტიკის განსაზღვრაში, რომელიც დამყარებულია სავსებით მათ ისტორიულ შეხედულებაზე. ეს ისტორიული შეხედულება, რომლითაც კაცობრიულ საზოგადოებათა განვითარება სწარმოებს თანახმად ჰეგელის ტრიადის სამი ტაქტისა, რომლის კაპელმეისტრად დიალექტიკა იმყოფება, უდევს საფუძვლად მთელ მათ პრაქტიკულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. მაგრამ დღეს გარდა პლეხანოვისა და სხვა უვიც „მეცნიერულ სოციალიზმის“ მომხსეებს გარდა არავინ აღარ ხმარობს ბუნებრივ და სოციალურ მოვლენების გამოკვლევაში ამ გვარ საშვალებას რადგან ნამდვილ მეცნიერთა თვალში სოციალური ცხოვრება და ისტორიული სცენა არასოდეს არ ყოფილა „მარიონეტკების ტეატრი“.

კოლლექტივისტური ისტორიული შეხედულება, რომელიც შეიმუშავეს მთელი ქვეყნის ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და განსაკუთრებით „გარმანულ მეტაფიზიკურ ქარხანაში“, თხოულობს, რომ დამყარებული და დადგინებული იქმნას ან სოციალ-პსიხიური, ან სოციალ-ეკონომიური მიმდინარეობანი, კულტურული ეპოქები“ ეკონომიური და პოლიტიკური **ერთი მეორეს უცვლელად მიწყოლი სტატიები.** მაშინ მათი აზრით გახდება შესაძლებელი ისეთი წესის (правило) დასკვნა, რომელიც განსაზღვრავს სისწორით დამოკიდებულებას, კავშირს მიზეზის და მოქმედების შორის. მხოლოდ ამის შემდეგ მათი აზრით იქმნება შესაძლებელი მსოფლიო ისმომყვანი ისტორიის დაწერა. ამ გვარად ისტორიის მიზანი მაშინ იქმნება დამყარება იმ მომენტების რომლებზედაც დაფუძნებულია ისტორიული განვითარება, განვითარება, რომელიც გამომდ ნარეობს **დროში თან და თანობით.** ამ გვარია მათი ლოღიკური ხარაჩო, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ, სახელდობრ ის, რომ განხორციელება ამ გვარი კვლევის არ არის შესაძლებელი არც ერთი ადამიანისთვის (გარდა ჰეგელის და მართლ მორწმუნე მარქსისტების) და არც მეცნიერთა აკადემიისთვის. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რადგან დიალექტიკა სასწაულთ მომქმედია და შესაძლოა მისი ბებიობით დაებადოს რომელიმე მარქსისტს ისეთი თავი, რომელშიდაც მთელი მსოფლიო თავისი წარსულით, აწმყოით და მომავალით ჩაეტიოს. საქმე იმაშია, რომ მიუხედავად სხვა და სხვა ხალხების ისტორიულ, კულტურულ ეპოქეთა შედარებისა, ჩვენ მაინც ვერ მივიღებთ ისეთ პარალელებს, რომლებითაც ისტორიული განვითარების „კანონები“ ამოიტივტივებენ შეუძლებლობის სიღრმიდგან შეგნების პირზე. ამგვარ მოლოდინს სრულებით შეუძლებლათ ხდის **ფაქტორთა ცვალებადობა.**

ამ გვარადვე ჩვენ ვემყარებით იმ ჩვენ მოსაზრებას რომლითაც იდეა პროგრესისა არის სუბიექტიური, ტელეოლოგიური და ვამბობთ, რომ არა თუ არ არსებობს განსაზღვრული „კანონები“, არამედ არ არსებობს, გარდა გონებრივ და ლოღიკურ აპერაციის ისეთი გზა მსოფლიო ისტორიის განვითარებაში, რომელშიაც კაცობრიობამ უნდა სავალდებულოდ, **აუცილებლად უნდა განვლოს სავალდებულო საფეხურები** ისტორიულ განვითარების გზაზე, როგორც ამას ავალებენ კაცობრიობას, ვიკო, კანტი, ჰეგელი, მარქსი და სხვა ავტორიტარიზმით—ანტიმეცნიერული მიდრეკილებით—გაჟღენთილი სოციოლოგიის თეოლოგიები. ერთად ერთი „კანონი“ **ცხოვრების,** თუ ამ გვარი „კანონი“ არსებობს, არის ყოველგვარ „კანონის“ უარის ყოფა **ფატალისტური კონცეპცია ცხოვრების** ცხადად შეუსაბამოა და არამეცნიერული. **ცხოვრება არ ითმენს არავითარ დაბადებას** იმ მოძრავ თავის სინამდვილისას, რომელიც ცხადდება უთვალავ თავის გამოჩინებით, მისწრაფებით, კაპრიზებით და დაუდგრომით. **ცხოვრება დედამიწაზე**—კაცობრიობის ისტორიაა, რომელიც თავისი უთვალავი „მიზნებით“, ფორმებით ითმენს პაწაწკინტელა ადამიანის ხელის ღრიტინს, ითმენს ყოველგვარ სხემას და როდესაც ვინმე მეცნიერების ვირთხა, ან ფილოსოფიის რევვენი გამოხრავს ან გაანათებს რომელიმე კუნჭულს მსოფლიო ისტორიის წყვდიადისას და დაარსებს პატარა საკუთარ თორას იმას ჰგონია, რომ იმან ყველაფერი დაამტკიცა, რომ მას ხელში მსოფლიო ისტორიის გაუხედნელი ბედაურის ფაფარი უჭირავს, но если эти великіе люди поближе присмотрятся къ своему кулаку, которымъ въ своемъ воображеніи держатъ за гриву всемірную исторію, то всѣ эти крысы науки и исторіи увидятъ въ своемъ кулакѣ вмѣсто гривы Буцефала исторіи, кончики своихъ крысинныхъ хвостовъ.

У океана временъ
Сидитъ крошка—человѣкъ
И капли изъ вечностей черпаетъ
Своей маленькой рукой.

Сидитъ крошка—человѣкъ
И ловитъ шопотъ молвы.
Онъ заноситъ все въ свою книжечку
И ставитъ надъ ней надпись: „Исторія міра“.

ისტორია და მისი ფილოსოფია არ არის „წინასწარმეტყველებათა ტრაქტატი“; ისტორია **პირდაპირი უარყოფაა აპრიორულ ლოღიკურ ხარაჩოის.** ჩვენ არ ვწინასწარმეტყველობთ, ისტორია არ არის იდეა, რომელიც ლოღიკის თანახმათ ვითარდება, ისტორია არ არის ასტრონომია სოციალური ორბიტების გამოსაანგარიშებლად. ისტორია მოქმედებაა და მაშასადამე ცხოვრების ენერგიათა ურთიერთობაა. ჩვენ ძლიერ ვუფრთხილდებით ერთი ხალხის ისტორიის აშენებას მეორე ხალხის ისტორიის გეგმაზე, ჩვენ არ ვასხამთ ისტორიას წინად მიღებულ შაბლონში და არ ვავალებთ ისტორიას იაროს განსაზღვრული რითმით, რომელიც სწარმოებს ისტორიის კაპელმეისტერის—დიალექტიკის—ს დირიჟორობით ორ ან სამ ან მეტ ტაქტით, რადგან ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში შედის ორგანიული, დაუბოლოვებელად ცვალებადი და მრავალ ფეროვანი მოქმედება.

**განვითარება** უბრალო ცვლილება ან მოძრაობა კი არ არის, ის მხოლოდ პირობათა ცვლა კი არ არის, არამედ ის **რამეის** მოძრაობა, ცვლა და განვითარება არის, განვითარება ნასახის, თესლის ზრდა და გადაშლა, ე. ი. იმის რაც განვითარების შინაარსს შეადგენს. ამ გვარად განვითარების იდეა შეიცავს ორ მიუცილებელ რამეს: შინაარსს რომელიც უკვე უნდა არსებობდეს და პირობებს რომლებშიდაც ის ვითარდება. ამიტომ განვითარება შეიცავს **მომავლის** შესაძლებლობას და **არა აუცილებლობას.** განვითარება თუ არა თესლი ნასახი, ეს დამოკიდებულია უთვალავ პირობებზე ფაქტორებზე და ერთი სიტყვით იმ წრეზე (milieu), რომელშიდაც ის დარჩება მომწყვდეული.

თუ „მეცნიერული სოციალიზმის“ პროფესორებს და სტუდენტებს გადაეყარეთ სადმე და თქვენი ანარქისტულ „უტაპია“-ზე კრინტი დასძარით მათთან, ისინი მაშინვე შემოგჰყივლებენ: „ იქნება თქვენი ფიქრით, რომ თვითმპყრობელობიდან პირდაპირ თავისუფალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიძლება გადახტომა? არა მეცნიერო უვიცებო!

ჩვენ კი არ ვფიქრობთ მხლოდ, არამედ ვიბრძვით კიდეც ამისათვის. ჩვენი აზრი იმ მომენტში, რომელსაც რევოლიუცია ჰქვია და რომლიდროსაც სოციალური ნიადაგი ძველი შენობისაგან განწმენდილია ან იწმინდება, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ არა ბრძოლის სიადვილეზე, რომელსაც ჩვენ უნდა ვპოვებდეთ მოწინააღმდეგეთაგან ცოტის მოთხოვნით არამედ უნდა ვცდილობდეთ ვის სარგებლოთ რევოლიუციური მომენტით რომ საზოგადობის განთავისუფლების საქმე რაც შეიძლება წინ წავსწიოთ და რადგან შედეგი ძალთა განწყობილებისა იცვლება

პროპორციონალურად იმ ენერგის რომელსაც ჩვენ ჩავდებთ ბრძოლის ჯამში და ბრძოლის ჯამში შეტანილი ენერგია კი პროპორციონალურია იმ მიზნის, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, ამიტომ უარვყოფთ არა თუ რევოლიუციის „დოზიროვკას“, არამედ უარვყოფთ ყველა წინასწარად გამოგონილ შაბლონებს რევოლიუციის, შაბლონებს რომელშიაც უნდა ჩამოასხას რევოლიუციის ნაყოფი. როდესაც ამ უვიც „მეცნიერებ“, რომლებიც გამოჩვეულან დიალექტიკის მანტიაში, რომლითაც უნდათ თავის უვიცობის სიშიშვლე დაფარონ, შემოგლეჯეთ ამ მანტიას, მაშინ ისინი გადავლენ პრაკტიკის ტომარაში და გეტყვიან, რომ იმ ელემენტის საშვალებით, ელემენტების, რომლებსაც ვერ შეუთვისებიათ ჯერ სოციალიზმის ელემენტარული აზრებიც კი, ყოვლად შეუძლებელია სოციალიზმის განხორციელება და ამიტომ ჯერ უნდა გავწიოთ საკმაო პროპაგანდა იმისთვის, რომ მოვამზადოთ პროლეტარიატი სოციალიზმისთვის, მოვახდინოთ რევოლიუცია ჯერ პროლეტარიატის თავში და შემდეგ საზოგადოებაში; ეს თუ ასეა, მაშინ რატომ ეს ვაჟბატონები არ ცდილობენ მთელი თავისი ძალღონით, რომ ,,მომზადებული პროცესსი'' იყოს სოციალიზმისთვის მომზადება და არა პარლამენტისთვის. მაგრამ, როდესაც ამგვარად მათ ,,პრაკტიკულ'' ტანსაცმელს შემოაფხრეწთ რა დაინახავენ თავიანთ ზნეობრივ სიშიშვლეს, ხელად ამოჰყოფენ თავს მაჰმადიანურ ფატალიზმში, რათა ამით აიცილონ თავიდგან ზნეობაც და პასუხის მგებლობასაც, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამავე დროს სხვასაც აძლევენ უფლებებს გაინთავისუფლონ თავი ყველა პასუხის მგებლობისაგან, როგორც ეს მოსვლიათ ყველა ჯურის ექსპლოატატორებს. მათი აზრით პროპაგანდა, აზრი კი არ განსაზღვრავს ადამიანის საქციელს არამედ მდგომარეობა, და რადგან სოციალისტიური აზრების და მატარებლების გამრავლება დამოკიბულია კაპიტალისტურ წარმოების განვითარებაზე, და მის შესაფერ პოლიტიკურ რეჟიმზე, —პარლამენტარიზმზე—ამიტომ საჭიროა ჯერ ვიბრძოლოთ კაპიტალისტებისთვის და სასარგებლოთ პარლამენტარიზმისთვის; ,,პოლიტიკური-უფლობის (ВЛАСТИ) ხელში ჩაგდება მუშებისთვის არის საუკეთესო საშუალება სრული განთავისუფლების მისაღწევათ —კაცობრიული, მოქალაქეობრივი თავისულების, რომლის მეოხებით ისინი შესძლებენ სოციალისტური რესპუბლიკის დამყარებას*.)

მაგრამ ცხადია, რომ თუ პროპაგანდას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს მაშინ მეტია მდგომარეობა, საჭირო არ არის, რომ კაცი ჯერ მოკვდეს, რომ სიცოცხლე ისწავლოს ჯერ დაეცეს დაეცის ყოველივე მხრით **იმაზე ქვევით**, რაც დღეს არის, რომ შემდგომ **აიწიოს თავის თავამრიც და ამაზე ზევითაც**, სოციალიზმამდი. თუ მდგომარეობა ყველაფერია უკანასკნელ ანგარიშში, მაშინ პროპაგანდა მეტია უკანასკნელსავე ანგარიშში.

*) междунар. соціал конгресы. стр. 25.

ამას გარდა თუ დღეს პროლეტარიატი არ არის თავისი შეგნებით მომზადებული სოციალიზმისათვის და დღევანდელ თავის შეგნებით ის სოციალიზმს ვერ დაამყარებს, მაშინ მით უფრო საშიშია დღეს პროლეტარიატისთვის ისეთ უზნეო იარაღის ხელში ჩაგდება, როგორიც არის დღევანდელი „პოლიტიკურა ძალა“, რადგან ორივე შემთხვევაში პროლეტარიატის შეგნება სოც.-დემოკრატების თვალში ძლიერ დაბალა სდგას, ამიტომ ცხადია, ისევ ისე ის სჯობია, რომ პროლეტარიატმა დღევანდელი თავისი შეგნებით სოციალიზმისთვის იბრძოლოს, ვინემ „პოლიტიკურ უფლებათა ხელში ჩაგდებისთვის, რადგან მისი დაბალი გონება როგორც მას სახავს სოც.-დემოკრატია პატრონის ხელში ამ გვარი უზნეო და გამრყვნელი იარაღი კიდევ უფრო დააქვეითებს სოციალ-დემოკრატიის აზრით ისედაც დაქვეითებული პროლეტარიატის.

J. La Flamme.

## უსაქმოთ დარჩენილთა ინტელიგენტთა ბიუროს საყურადღებოდ.

აგერ თითქმის ორი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც რომ თბილისში შესდგა უსაქმოთ დარჩენილ მუშათა და ინტელიგენთა ბიურო, რომელსაც, ქალაქის თვით მმართველობასთან ერთად, უნდა გამოეძებნა რაიმე სამუშაო და მით ცხოვრების სალსარი მიეცა უსაქმოთ დარჩენილთათვის, მაგრამ, სამწუხაროთ, როგორც თან და თან ირკვევა, ბიურო ვერ ასრულებს, უკაცრავათ ვერ ასრულებს კი არა, არ ასრულებს პირნათლათ თავის მოვალეობას. მუშ ბის შესახებ როგორ იქცევა ბიურო ეს არ ვიცი, მაგრამ იმას კი როგორმა უსამართლობამ, იმკერძოვებამ და ბიუროკრატიზმმა (აქაც არ უღალატა ამ ოხერმა ბიუროკრატიზმმა თავის დანიშნულებას და ხასიათს) იჩინა თავი ბიუროში უსაქმოთ დარჩენილ (რასაკვირველია ზოგიერთ) ინტელიგენტთა შესახებ ვეცდები თუ სავსებით არა, ცოტათი მაინც, რამდენიმე გამოვარკვიე და გადმოვცეთ. ჯერ არც სამუშაო და არც ფული იყო ნაშოვნი, როდესაც დაიწყო უსაქმოთ დარჩენილთა რეგისტრაცია. მთელი ქალაქი გაყვეს რამოდენიმე რაიონად და ვინც რომელ რაიონში სცხოვრობდა იმ რაიონში უნდა ჩაწერილიყო. უნდა ჩაეწერა თავისი გვარი, და სახელი, რა სწავლა მიუღია, რამდენი ხანი დაიარებოდა უსაქმოთ და თავისი ადრესი, მერე ნაჩვენებ ადრესებზე, ჩამოივლიდა კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა მართლა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება სიაში შეტანილი პირი. თუ არა, მაგრამ თურმე ეს კომისია ისე დაიარებოდა, სხვათა შორის, ხალხის შესახედავათ: „ერთი გვიყურეთ რა კანონიერათ ვიქცევითო“ და მის ჩვენებას არავითარი გავლენა არა ჰქონია: ბიუროს წევრები იმას ღებულობდენ, ვინც მათ უნდოდათ. წისქვილმა სთქვა: მე კი ვფქვა და ვისაც რა უნდოდეს ისა სთქვასო: სწორედ ზედ გამოჭრილია ბიუროზე ეს ანდაზა. თუ კი ვინმე ყავდათ ნაცნობი, გაჭირვებული იყო თუ არა, სუყველას დაურიგეს სამუშაო, ხან.

# ფელეტონი

## რევოლიუციათა ისტორიიდან.

(გაგრძელება *).

კონსტიტუცია ანტიტეზაა რევოლიუციისა, მაგრამ ისეთი ანტიტეზა კი არა, რომლის შემდეგ, როგორც სოციალ-დემოკრატებს ჰგონიათ მშვენიერი სინტეზი გამოვა, არა, ანტიტეზა მარტივი, რომელიც საწამლავს არგავს რევოლიუციის გულში და კაცობრიობის იდეალებს შხამავს. დეე სოციალ-დემოკრატებმა გუნდრუკი უკმიონ ამ მეტაფიზიკურ სიტყვების აკრობატებმაო, რომელთა მოძღვრებაში ჰეგელის ტრიადის ოქროს ტახტი უდგას და მის ბრძანებით სოციალ-დემოკრატის ჭკუა იქ თავდება, სადაც იწყობა და ამ რიგად ისეთ დაუსრულებელ წრეს წარმოადგენს მათი ტვინის ძაფები, რომელშიაც ნათელი აზრი ისე იბლანდება, როგორც ბუზი ობობას ქსელში. შეურიგებელია ჩვენი რწმენა ამ აბსურდთან და ჩვენ, ამისთანა აზროვნებას ტვინის ფალარათობას ვუწოდებთ!

მწარმოებელმა, რომელიც ნიჭიერი შემთხზველია რევოლიუციისა, უნდა იცოდეს, რომ ამ დღიდან რევოლიუცია განსაცდელშია და თუ დეპუტატი როდიჩევი სათათბიროს ტრიბუნიდან ყვირის „სამშობლო განსაცდელშია“-ო და მისი სამშობლო კი კადეტთა სამინისტროა, მშრომელმა ხალხმა სიტყვა „სამშობლო“ „რევოლიუციათ“ უნდა შესცვალოს, რადგან რევოლიუციის დროს „სამშობლო“ ის სიტყვაა, რომლითაც იაკობინელები ხალხს ატყუებენ ხოლმე.

ჩვენ ვეუბნებით ხალხს, რომ რევოლიუცია განსაცდელშია, მაშინ, როდესაც მის ინტერესებზედ სხვები ლაპარაკობენ, როდესაც საზოგადო ორგანიზაცია ადგილობრივ კი არ ეწყობა, არამედ მას ზეპირათ სთხზავენ და უნდათ მაზედ ისეთი კანონები ააშენონ, რომლის არსებობა პირველს უარყოფს; რევოლიუცია განსაცდელშია მაშინ, როდესაც გლეხებისაგან უკვე შეძენილ მიწას ხელახლად ართმევენ ხალხს და ეუბნებიან, მემამულეებისაგან შეისყიდეთო. აი, რატომ არ უნდა გადაუხვიოს რევოლიუციამ თავის გზას და მუდამ მისი მოქმედება ბრძოლის ველზედ სწარმოებდეს, ვიდრე რევოლიუციონერები ძველს წესწყობილების ნანგრევებზედ ახალს საზოგადოებას არ ააგებენ, ისეთ საზოგადოებას, რომელზედაც რევოლიუციონური ლოღიკა უთითებს. ქალაქის მუშებმა და სოფლის მშრომელმა გლეხობამ უნდა უარჰყონ სხვისი ვექილობა და თვითონ მოაწყონ რევოლიუციის საქმე, რომლის პირდაპირი მიზანი საწარმოო იარაღთა და კერძო საკუთრების განსაზოგადოება არის, ის არის კაცობრიობის უმრავლესობა, ისა ჰქმნის მის სიმდიდრეს და მას უკეთ ესმის საზოგადოებრივი ჰარმონია, რადგან სხვა რაც მის გარეშე სდგას არის მისი საკუთარის პირადობით უარყოფა და მის გარეშე კი, მწარმოებელმა კარგათ იცის ვინა სდგას: სახელმწიფო და ბურჟუაზია.

ჩვენ ისტორია ისე ვიწრო კლასთა ბრძოლად კი არ გვესმის, რომ მის დამახასიათებელ რევოლიუციას დროებითი ხასიათი ჰქონდეს, ან მისი ენერგია დროსა და სივრცის მიხედვით განიზომებოდეს, ტყუილად ამტკიცებენ ცრუ მეცნიერნი, და ცრუ სოციალისტნი, რომ რევოლიუციის დროსაც ისეთივე სოციალური დიფერენცია არსებობს, ვითომც როგორიც არსებობს მშვიდობიანობის დროს (!) მათი ამ ნაირი დიფერენციაცია კი იმაში გამოიხატება, რომ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში მხოლოდ ერთი კლასი კი არ ახდენს რევოლიუციას, არამედ ყველა კლასები (ნეტავი თუ რამდენი ათასი?) და თუნდაც რომელსამე კლასს ჰქონდეს უპირატესობა მასში, შეიძლება ეს კლასი მწარმოებელთა მასსა კი არ იყვეს, არამედ სხვა რომელიმე კლასი როგორც ეს მოხდა მათის აზრით დიდ რევოლიუციის დროს რომლის უმთავრეს ეპიგონებად ბურჟუებს ასახელებენ, და მთელ რევოლიუციას „მესამე წოდებას“ აკუთვნებენ, იმ დროს, როცა რევოლიუცია მხოლოდ დაბეჩავებული აქტი იყო დამონებულთა და „მესამე წოდებ…

*) იხილე «მუშა» № 32.

...ლიან ერთი ოჯახიდან სამი ოთხი ...ელი შეიტანეს მომუშავეთა სიაში, მაშინ როდესაც სხვებს ეუბნებიან, რომ ერთი ოჯახიდან ერთი სულის მეტი არ შეიძლებაო. როდესაც ერთმა ამხანაგთაგანმა ამისთანა უსამართლობაზე უკმაყოფილება გამოუცხადა ბიუროს წევრებს, იმათ ხმა ვერ ამოიღეს, გადახედეს ერთმანეთს დარცხვენილებმა თითქოს ერთი მეორეს უსაყვედურებდენ: შე დალოცვილო მართლა ასე აშკარათ ხომ ვერ მოვატყუვლებთ ხალხს, ჩაგეწერა ერთი, ორი, ჯანი განავარდეს, თუ ძალიან ახლობელი ნაცნობი იყო სამიც, შენ კი აგილია და ერთბაშათ ოთხი ერთი ოჯახიდან ჩაგიწერია. თუ რომელიმე მათი ნაცნობებთაგანი სიის შევსების შემდეგ მოვიდნენ, იმ შემთხვევაში ვაი მათი ბრალი, ვისი გვარიც ცუდი ასოებითაა დაწერილი, ან გლახა წასაკითხავი იყოს ყოვლის შემძლე პროტექტორობა ხელათ ამოშლიდა მათ გვარს და წევრების ნაცნობების გვარს კი ჩაასკუპებდა მათ ადგილას. ან კი რაქნას — ნაცნობს ხათრი როგორ გაუტეხოს.

აი, ასეთი ხრიკები, არის იმის მიზეზი, რომ მომუშავეთა სიიდან სწორედ ისეთები იქმნენ გამორიცხულნი, რომელნიც დღე-დღე ლუკმა პურს დაეძებენ, და ისეთები კი, როგორიც არიან მ. ნესერსოვი და სხვანი, რომელთაც სამ, სამ სართულიანი სახლები აქვთ გამოჭიმული, სამუშაო მიიღეს. როდესაც ბიუროს უსაყვედურეთ: რათ მიეცით ასეთ პირებს სამუშაოთქო, ჩვენ შემდეგი პასუხი მივიღეთ: ჩვენ ყოვლადვეთი ანგელოზნი კი არა ვართ: ჩვენ არ ვიცით ვის რამდენი (შეძლება აქვს და თუ კი თქვენ იცით — გვითხრეს მათ — თქვენ ზნეობრივად მოვალენი ხართ დაასახელოთ ისინი, ვინც მართლა არ საჭიროებს დახმარებას, ჩვენ იმათ დავითხოვთ და მათ ადგილზე უფრო გაჭირვებულებს მივიღებთო". ბევრმა ჩემმა ამხანაგთაგანმა დაასახელა ისეთები, რომელთაც არავითარი გაჭირვება არ ადგიათ და სამუშაოში კი ჩაეჩხირენ, მაგრამ აბა ერთი გვიბრძანონ ბ-ნმა ბიუროს წევრებმა, რომელი მათგანი იქმნა დათხოვნილი? ჩვენ მოვსთხოვეთ ბიუროს ახალი კომისიის არჩევა და როგორიც იქნა დაგვთანხმდა ამაზე. შესდგა ახალი კომისია, რომელმაც ჩამოიარა ყველა მომუშავეთა სიიდან გამორიცხულთა ბინები და დარწმუნდა, რომ უმეტესი ნაწილი მართლაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება თავისი აზრი კომისიამ წარუდგინა ბიუროს, რომელმაც, თითქოს დაგვცინისო, კეთილ ინება ჩვენი კანდიდატათ ჩარიცხვა. მე ჩემდა თავათ, ყოველ ამეების შემდეგ, სრულ უნდობილობას და მასთან პროტესტს ვუცხადებ ბიუროს. ჩვენ რათ გვინდა კანდიდატობა; კანდიდატობა ხომ ვერ მომცემს მე ლუკმა პურს და იმდენი შეძლება რომ მომცა, რომ ერთი ან ორი თვე ჩემს კანდიდატურას ვუცადოთ, მაშინ ხომ არც ბიუროს შევაწუხებდით და არც ჩემს თავს შევიწუხებდი ყოველ დღე ბიუროში ხეტიალით, როდესაც ბიუროს საქციელს დავუკვირდები, მე გამახსენდა ჩემის ბავშობის დროის ერთი, თავის თავათ სულ უბრალო, მაგრამ ჩემთვის დიდ მნიშვნელოვანი შემთხვევა. ჩვენ სოფელში ერთი ვერსტის მოშორებით იყო ერთი პატარა დუქანი. ასე ექვსი წლის ვიქნებოდი, როდესაც ბიძა ჩემმა პირველათ წამიყვანა იმ დუქანში, რომლის კარებზედაც მე შემდეგი სიტყვები ამოვიკითხე: **დღეს ნაღდზე ხვალ კი ნისიათ.** სწორედ მეორე დღესვე გამოვიპარე სახლიდან, მივედი იმ დუქანში და უთხარი მედუქნეს: ერთი ორი შაური კამფეტი მომეცი ნისიათ მეთქი და როდესაც მედუქნისაგან უარი მივიღე — მე ნისიათ არავის არ ვაძლევ არაფერსო, — მე დაწყენილი ვუთხარი: მაშ რათ ეწერა გუშინ დუქნის კარებზე დღეს ნაღდზე — ხვალ ნისიათ მეთქი. მაშინ მომკიდა ხელი, მიმიყვანა კარებთან სადაც ეს სიტყვები ეწერა და მითხრა:" აბა ეხლა წაიკითხე როგორ სწერია!" მე დავაცქერდი კარებს და ისევ ის სიტყვები: „დღეს ნაღდზე, — ხვალ ნისიათ კი ამოვიკითხე. მაშინ კი მივხვდით, რომ რამდენჯერაც უნდა მივსულიყავი იმ დუქნის კარებზე სულ „ხვალ ნისიათ" ეწერებოდა, ასე რომ იმ დუქნიდან მე ვერაფერს ნისიათ ვერ მივიღებდი და სახლისკენ მოვკურცხლე. იმ მედუქნესავით ჩვენი ბიუროს და კომისიის წევრები „ხვალისთვის" რაც გინდათ იმას დაგპირდებიან, მაგრამ „დღეისთვის" კი არაფერს გამოიმეტებენ შენთვის.

შევალ თუ არა იმათ ოთახში ყველაფერი: მათი სახის გამომეტყველება, მათი მიხვრა-მოხვრა, მათ მიერ კედელზე გაკრული ქაღალდები (და თითქოს თვით კედლებიც) დაცინვით მეუბნებიან: „ხვალ, ხვალ"-ო.

Max.

# ახალი ამბავი

13 ივლისს, ალდაშიდან (შუშის მაზრიდან) გაზეთს „ირშადს" დეპეშით ატყობინებენ, რომ გენერალი გოლოშჩაპოვი ყუმბარებს ესვრის ქალაქს. გუშინ ს. ხინდირლუში 20 ჯერ მოისმა ზარბაზნის ხმა და დღესაც 13ჯ-ერ. ქალაქს ირგვლივ ცეცხლი უკიდია, ამბავი ქალაქიდან არა მოსულა რა. ასკურანი დახურულია.

— 14 ივლისს იმავე გაზეთს ატყობინებენ: ქალაქის მუსულმანების ნაწილი იწვის. 15 ივლის შუშიდან მიიღეს წერილი, სადაც იტყობინებიან, რომ გენ. გოლოშჩაპოვი სომეხთან ერთად მოქმედობს. დამწვარია ქალაქის 3 ნაწილი ქარარლუ, მამანლუ და ტაზა მახლა, სომხებს ათასობით ეშველებიან. არვის არ აძლევენ მოსვენებას. როგორც ჩვენ შევიტყვეთ თბილისელებმა თათრებმა დეპეშით სთხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრს გოლოშჩაპოვის გადაყენება, რადგან კარგად ვერ იქცევაო.

— როგორც შევიტყვეთ მკვლელები ჟანდარმის როტმისტრ რიტჩერისა დაუჭერიათ. მკვლელები აღმოჩენილან ტეხნიკი მუსიკოვსკი და მემონქანის თანა შემწე კრაპჩინსკი.

— როგორც ბალაჯარიდან გვატყობინებენ იქ ლაპარაკი მოისვლიათ ნოე მიქაძეს და ანდრია ანდლულაძეს. პირველს გული მოსვლია და უკანასკნელისათვის დაუხლია რევოლვერი.

— როგორც ხალიპაურიდან გვატყობინებენ აქ გაუცარცვავთ ადგილობრივი ეკლესია.

---

კი მის ნაყოფთა აშკარა მომპარავი. ყველა ეს „მესამე წოდება" და მათნი მსგავსი მოვლენები, რომლებიც მეცნიერებამ ისტორიულ აუცილებლობისაგან გამოწვეულ მოვლენებად დასახეს, არა არის რა გარდა ისტორიულ გაუგებრობისა. რევოლიუციის დროს იბრძვის მხოლოდ ორი სული საზოგადოებისა, მასში მესამე და მეოთხე არა არის რა და ეს ორი სული კი ერთის მხრივ კერძო საკუთრება და ავტორიტეტია, მეორე მხრივ კი ანარქია — მოპირდაპირე ავტორიტეტისა, რომელსაც აზრათ აქვს დაამხოს კერძო საკუთრებაც.

აი, ისე ნაწილდება რევოლიუციის დროს საზოგადოება და არა ისე როგორი დიფერენციაც აქვთ წარმოდგენელი სოციალ დემოკრატებს. ცხოვრების ამნაირ გაუგებრობის ძალით თანამედროვე რუსეთის რევოლუციაც ასე ესმით მათ, რომ იგი ბურჟუაზიულია, არა პროლეტარიატის და გლეხობის არამედ მეორე პირის და ამ უტვინოთ, და აზრის გერმოფროდიტებს მიჰყავთ ხალხი, რომ წელი გაუმაგრონ კაპიტალიზმს და თვით მშრომელ ხალხს ამოათხრევინონ თავის საფლავი და შიგ ჩამარხონ მისი იმედები, რომ ვიდრე მვორეთ არ მოევლინება რევოლუცია კაცობრიობას, კვლავ სწყევლოს მან თავის გაჩენის დღენი. ამ ბოროტ გაუგებრობას ისინი კაცობრიობას ახვევენ თავზე და მშრომელთა წინამძღოლობას კისრულობენ იმ დროს, როცა მათი საქმე კაპიტალიზმის-ბუღგალტერია რომ ანგარიში არ შაეშალოთ დღეს, რამდენი გლეხი გაპროლეტარდა და ხვალ რამდენი კაპიტალისტი გამდიდრდება უფრო! არი რათ ვამბობთ ჩვენ, რომ მათი საქმე კაპიტალიზმის ბუღგალტერიაა და არა რევოლუცია? იმიტომ რომ ეს ვრეტინები, დიალექტიკურ კარუსელზედ შემჯდარან და წარმოდგენილი აქვთ შორს სადღაც მიდიან მათის აზრით სოციალიზმი სოციოლოგიური მოვლენა კი არ არის, არამედ დიალექტიკური და რადგანაც ასეა მაშ ჯერ კაპიტალიზმი უნდა განვითარდეს, მივიდეს თავის უარყოფამდე და მხოლოდ მერე დადგება ჟამი სოციალიზმისა, რომელიც ჩვენის აზრით არა იქნება რა თუ არ ჟანდარმული ორგანიზაცია, თუ ეს უკანასკნელი მათ სისრულეში მოიყვანეს. აი რათ ამართლებენ ეს ფილოსოფიის ცრუ პრეტენზიით აბნეულნი „მესამე წოდების" როლს დიდ რევოლიუციაში და რათ უხარიანთ ბურჟუაზიის გამარჯვება რუსეთში.

ნამდვილათ კი საქმე იმაშია, რომ როგორც რევოლიუციაა ისე რეაქციაც ორთული მოვლენა და მას თავის შემადგენელი ელემენტები აქვს, თუ რევოლიუცია ორ დიდ პროცესიდან შესდგება, რომელიდანაც ერთი ანგრევს ძველ წესწყობილებას და მეორე კი მომავალ საზოგადოებას საფუძველს უყრის, აგრეთვე რეაქცია ორად ნაწილდება და იმ დროს, როცა ერთი ნაწილი ებრძვის რევოლიუციას და სცდილობს რაც შეიძლება ახლო დაუდოს სამზღვარი მის მსვლელობას, მისი მეორე ნაწილი ამ დროს ისეთ ალაგს ამზადებს, რომელზედაც შეიძლება მათი შერიგება. არსებითად კი ისინი ერთნი არიან და რევოლიუციის მოსისხლე მტერნი. თანამედროვე გამარჯვება ბურჟუაზიულ დემოკრატიზმისა სწორეთ ეს მეორე ელემენტია დიდი რეაქციის, რომელიც, ჩვენ უკვე დავინახეთ ზევით რანაირ. გაბმულა ხალხის მოთხოვნილება ეს მათი გამარჯვება უკვე რეაქცია არის და ადამიანის საღ, ნახულის გონებას ვერ გაუგია რათა ჰკრიჭვენ კბილებს და რათ უხარიანთ სოციალიზმის იეზუიტ — დემოკრატებს მოვლენა თუ მათის აზრით ეს ისტორიის აუცილებლობაა, მაშინ გვაჩვენონ სამზღვარი ამისა, გვითხრან როდის გათავდება ეს, რომ დატანჯულმა მწარომებელმა დაუგვიანებელ იმედით მაინც იცხოვროს, თორემ ჩვენ ფიცით უკვე რა მოჰყვა ამ არსებულ აუცილებლობას ევროპაში, სადაც მუშათა ნამოქმედარი რევოლიუცია ბურჟუაზიამ გამოიყენა და მონობაში ხდის მას სულს იმ დროს როდესაც მათი საყვარელი სინტეზი, აუცილებელი შემდეგი კაპიტალიზმისა ასი წლის რეაქციის ღრუბლებში დაფარული.

შ. ჯ.

— სოფელ წევაში მოუკლავთ მსხვილი შავი ქვის მრეწველი ტარიელ გაჩეჩილაძე. მკვლელები ვერ შეუპყრიათ.

— 15 ივლისს, საღამოს ხუთს საათზე ვიღაც უცნობები თავს დაეცნენ ბროდსკის, საქონლის საწყობის მახლობლათ. ბროდსკი ჯერ შებოჭეს მერმე ამოართვეს 640 მ. და მიიმალენ.

— ქუთაისის გუბერნიიდან, რაჭის მაზრიდან გვატყობინებენ, რომ სოფელი ჯვარისაში დაუწვავთ სახლი აზნ. მერაბ წერეთლისა. თ-ვად წერეთლისათვის წინადება მიუციათ სახლიდან გამოსულიყო, მაგრამ მას პასუხის მაგიერ დაუჭრია ერთი მოსულთაგანი ამის შემდეგ ტერორისტებს გამოუეყვანიათ გარეთ მოხუცი კაპიტანი კვიტაშვილი და შემდეგ გადუწვავთ სახლი, რომელშიაც მოუყოლებიათ წერეთლიც.

— თბილისის გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ადგილებზე არის შეწერილი საეროზო და სახელმწიფო გადასახადები, რასაც ქალაქის გამგეობა თავის დროზე არ იხდის. გუბერნატორი ამით ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ მომავალში დაუყონებლივ შეიტანონ ხაზინაში გადასახადი.

---

## დეპეშა.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** დამე ურჩეულის მთაზე პოლიციამ სალდათებით სხვა და სხვა სახლებში შეიპყრა 9 კაცი პოლიტიკური დამნაშავენი. დღეს ორმა უცნობმა დაეცნენ ურიას და მოსტაცეს ოცი თუმანი. უცნობნი მიიმალნენ.

---

## უცხოეთი.

**ჩრდილოეთის და დასავლეთის შეერ. ებული შტატები.**

ფედერაცია დასავლეთის მადნის მუშებისა დაარსდა ბიუტში (მონტანა). გაზაფხულზე 1893 წ. ჩიკაგოში მსოფლიო გამოფენის წინადღით, და ეკონომიური კრიზის წინადღით, რომელიც მას მოჰყვა. რამოდენიმე წლის განმავლობაში ედმონდ ბოჟი, სანამ საშინელმა ძმე ავანტყოფობამ ყელისა არ სძლია, იყო ორატორი და პირველი მომქმედი მოღვაწე. ის ამბობდა: „უფლება მოქალაქისა მხოლოდ მაშინ შეიქნებიან პატივსაცემნი, როდესაც ეს უკანასკნელი მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას იგი“.

მაშინ თხოულობენ 8 საათის სამუშაო დღეს და ხელფასის მინიმუმის 3 გირვანქა სტერლინგი.

მოთხოვნილება არ იყო შეწყნარებული თანხმობით მფარველობის მიერ. სასტიკი ბრძოლა გაიმართა კოლორადის სახელმწიფოში ფედერაციის და „Mine owners associahion“ შორის. არეულობა მოჰყვა ერთი მეორეს მაშინ კლდოვან მთებში და ეს ხანა იყო უფრო გრძელი ვიდრე გაფიცვა კრიპლ გრეკისა (1896 წ.) სადაც 2000-ზე მეტი შეიარაღებული მადნის მუშები უდარაჯებდა მილიციის მოსვლას. მაგრამ ეს უკანასკნელი უკან-უკან იხედავდა იმ ძალის წინაშე და ჩერდებოდენ მოშორებულ მანძილზე აჯანყებულებისაგან

გუბერნატორი ვეტი რა მიხვდა, რომ საშინელი მდგომარეობაში ჩავარდნენ, შეერია ამ საქმეში და დაკმაყოფილა მუშები, რომლებმაც დააწესე', 8 საათის სამუშაო დღე და ხელფასის მინიმუმი 3 გირ. სტერლინგი, მაგრამ ეს გამარჯვებას არ იყო ხელსაყრელი ექსპლოატატორებისათვის და ხელმეორედ აქაც ატყდა ისევ ბრძოლა. 1898 იჩინა თავი ვარდნერში, იდაჰოში და იქ მადნის მუშები სრულებით დამარცხდნენ.

გუბერნეტორი სტენენბერგი, თუმცა თითონ ნამყოფი მუშა იყო, თამაშობდა კაპიტალის ძაღლურ დარაჯობის როლს, და შიშს გვრიდა, ამწყვდევდა მაკებში ყველა მადნის მუშებს, რომელნიც მას აწუხებდენ. რადგანაც იმას იმედი არ ჰქონდა მილიციაზე, პრეზიდენტ მანკილეისაგან, მოითხოვა ზანგები, რომ ამათი საშუალებით დაეშოშმინებინა მუშები.

ამის შემდეგ, კოლორადის მფარველობას მოსვენება არ ჰქონდათ რომ როგორმე დაეშვიდებინათ მუშები, როგორც იდაჰოს მფარველობამ თავის მხრივ უკვე მოახერხა. მომეტებულად ის სცდილობდა 1900 წლის შემდეგ, როდესაც ფედერაციამ მხარი დაუჭირა რევოლიუციონურ სოციალიზმს და მოთავეთ დაიყენეს ამხანაგები მოუერი, ჰაივოდ

აგრეთვე, როდესაც პატრონები დარწმუნებულნი იყვნენ ახალ გენერალ-გუბერნატორის მონაწილეობის მიღებაში, თავის თავს სთვლიდენ ისე ღონიერად, რომ დაერღვიათ ყველა წინამდელი პირობები ფედერაციასთან. მაგრამ მათ გააფთრებულ შურს არ შეეძლო ხელი შეეშალა მუშათა ორგანიზაციისათვის

პამფლეტში, დაწერილ უნამუსო ჟურნალისტ მიერ ვალტერ ველმანის მიერ, ჩიკაგოში, მივიდნენ იქამდინ, რომ მოუერს და პაიმდს აბრალებდენ ათას კაცის კვლას. ფედერაციამ უპასუხა მეორე პამფლეტის სათაურით: ნამდვილი დამნაშავენი სადაც ამან გამოხატა ამგვარი კაპიტალისტური კანალერია (kana illerie) და სადაც იწვევდენ პატრონებს დაემტკიცებინათ თავიანთი ნათქვამი.

ველმანმა მაშინ დასწერა „Denver Post“ რომ მოუერმა და პავოდმა დააშინეს მუშები, რათა დანაშაულობითი წადილს ფედერაციისა და რასაკვ-რველია გამოჩნდა რამდენიმე მოღალატე, როგორც ტომ ჰილერი, დურგალი და „clarion advocate“ დენვერში გამომცემელი, რათა დაემტკიცებინა იგივე. 1904 წელს დანვერში ფ დერაციის კონგრესზე გადაწყ ტილი იყო შეერთებულიყვნენ ყველა მუშათა ორგანიზაციები სოციალისტურ რევოლიუციონურ ხასიათისა რომელნიც წინა წლით შეერთდენ მუშათა კავშირის მთელი ქვეყნის მრეწველობის დასაარსებლათ, როგორც საუკეთესო გამომხატველი ამერიკანულ სინდიკალიზმისა. მეორე კონგრესზე ჰაივოდმა, რომელზედაც მოიწვიეს კოლორადოს დიდ ბანკში ჯამაგირით 5000 გირვანქა სტერლინგი წელიწადში, თავის თავი გამოაცხადა სოციალის-რევოლიუციონერათ და მომხრეთ უკიდურესი ბრძოლისა მფარველობის წინააღმდეგ.

ორი კვირის შემდეგ სტენნენბერგის მკვლელობისა (დეკემბერში 1905 წ.) დახვეიაში შედგა პარტიების კონფერენცია იმ მიზნით რომ დაღუპონ მოერი და ჰაიდი.. ამ მერკანის მოსაზრებით ეხლანდელ სეკრეტარის ფედერაციისა, პატრონებს შეუგროვებიათ ერთი მილლიონი დოლასი, რომ თავისს ხარჯზე აწარმოვონ პროცესი. იდაჰოს და კოლორადოს გუბერნატორების თანხმობით, კოლვიეგ და მაგდონალდისა კაპიტან პინკერტონი*) და მაკ პარლანს დაავალეს შეთქმულების შედგენა.

ორი კვირის უკან მოუერი, ჰპაივიდონი და პატჰბონი დაატუსაღეს დანვერში და გადაიყვანეს საკუთარ მატარებელით ბუაზში (იდაჰო) სტენენბარგი მოვლის მონაწილეობის მიღების გამო მავკარლანი კვეხულობდა რომ მან შეიპყრო ისინი და ცოცხლებს არ გაუშვებს მათ. სულ იყო ის მომზადებული რომ დაეცვათ ბრალდება და სადაც კი იშოვიდნენ ფულის საშუალებით აგროვებდნენ იუდებს.

რაც შეეხება მავპარლანოს ნამდვილი სახელი მაკენნა, არის პარსონის მცხოვრებელი და მის თანამოქალაქენი ატყობინებდენ ყველა შეერთებულ შტატებს, რომ ეს კაცი იყო ბანდიტი. ერთ სახალხო კრებაზე გამოიტანეს რეზოლიუცია რომელშიაც დასახეს მაკპარლანი, როგოც ადამიანი რომელიც ფულის გულისათვის იკადრებს ყოველ სისაძაგლის ჩადენას. და ეს რეზოლიუცია თავდება შემდეგი სიტყვებით:

„გაფრთხილებთ ყველა პირს, რომელნიც ასე თუ ისე გარეულნი არიან ამ კაცების პროცესში, რომ დღეს შეერთებულ შტატების ციხების გარეთ არ მოინახება ადამიანი მაკ პარლანზე წამხდარი და გარყვნილი.“

(გაგრძელება იქნება.)

*) ბაწდიტი კერძო აგენტიურის ხარჯზე კაპიტალისტების მიერ შესყიდული გაფიცვების დასაგმობათ.

---

## დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

**ლონდონი.** „ტრიბუნა“ იუწყება ათონიდგან, რადგანაც საქმის მდგომარეობა კრიტში სერიოზიულია, ამიტომ მეფის ძე გიორგი აღარ ანებებს თავს წრიტის გამგეობას.

**ლოძი.** ბრეჟზინსკის ქუჩაზე, შენობი პირნი შეუცვივდნენ კაინბერგს, მოჰკლეს იგი, დასჭრეს მის მეუღლე და უცხო ქალი.

**მინსკი.** ბობრუისკის მაზრაში, მეხის ჩამოვარდნით დაიწო სოფელი.

**ბაქო.** აღდგომიდგან იუწყებიან, რომ შუშაში ყდეტაა. ქალაქი იწვის. მუსულმანთა მდრომარეობა ქალაქში და მაზრაში ცუდ-მდგომარეობაშია, მიმოსვლა შეწყვეტილია. ისმის ზარბაზნების სროლა.

**პოლტავა.** დახურილია სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „პოლტავშჩინა“.

**იაროსლოვი.** გაფიცულან მექისა სოფელ შოპშინში.

**კოვნა.** სუვალსკი სგუბერნიაში იპარავს მამოსტის ჩოჩხი და კანცელარიის მუზეუმსი.

**კიევი.** პოლიციელის მიერ მოკლული წევრი ხულიგანთა ბრბოსი რომელიც ექებდა გამომძიებელი ამის მკვლელობამ გამოიწვია შეარაღებული თავ-დაცემა პოლიციელზედ მოკლულის ამხანაგებისაგან.

**კოსტანტინოპოლი.** პორტამ განახადა პროტესტი, კრეტის მანიფესტის გამო რომელშიაც გამოცხადებულია საბერძნეთან შეერთება:

**პეტერბურგი.** „კრესტ“-ის ციხიდგან გაიქცა პოლიტიკური დამნაშავე ანტონ რაჩინსკი.

**ვარშავა.** ვენის რკინის გზაზედ 13 შეარაღებულებმა, დააყენეს საპოსტო მატარებელი, მოსხნეს ორთქმავალი და საფოსტო ვაგონი, იარაღი აჰყარეს მოხელეებს, გაიტაცეს ბლომად ფული, მათ შორის 2 პაკეთი 27 ათას მანეთით აღმართეს წითელი დროშა და მიიმალნენ.

**ჟიტომირი.** კესელმანის სადგომში იპოვეს 500 პროკლამაცია, 80 პატრონი და ფუთი შრიფთი. ორი გაიქცნენ და ორი დაჭერილია.

**ტამბოვი.** საფოსტო მატარებელზე როზან-ურალის რკინის გზაზედ. გაძარცვეს არტელშჩიკი. გატაცებულია 10 ათასი მანეთზედ მეტი.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე**

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.